# წინასიტყვაობა

სამშვილდე კავკასიის ქალაქებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია. იგი მდებარეობს თბილისის სამხრეთით, ისტორიულ ქვემო ქართლში, მდინარეების ხრამისა და ჭივჭავის შესართავთან აღმართულ კონცხზე, რომელიც ბუნებრივად გამაგრებულ ადგილს წარმოადგენს. მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე და სიახლოვე „აბრეშუმის გზის" ჩრდილოეთ განშტოებასთან ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა ამ ადგილზე ადამიანის უძველესი დროიდან დასახლებისათვის.

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი წარსულისა, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, სამშვილდის სისტემური, თანმიმდევრული კვლევა უკანასკნელ ხანებამდე არ განხორციელებულა. მართალია, გასული საუკუნის მეორე ნახევარში ნაქალაქარზე და მის სიახლოვეს ჩატარდა გარკვეული სახის კვლევითი სამუშაოები, მაგრამ ეს უკანასკნელი არ ატარებდა სტაბილურ ხასიათს და მიღებული შედეგებიც არ იყო საკმარისი ძეგლის წარსული სურათის სრულად წარმოდგენისათვის.

ვითარება შეიცვალა 2012 წელს, როდესაც საქართველოს უნივერსიტეტმა ინიცირება გაუკეთა პროექტს, რომელიც არქეოლოგიურთან ერთად სამშვილდის მულტიდისციპლინურ კვლევებსაც გულისხმობდა. შვიდი წლის განმავლობაში, თანმიმდევრული და სტაბილური მუშაობის შედეგად პროექტი სწრაფად განვითარდა და საერთაშორისო ხასიათი მიიღო. დღეისათვის კვლევებში საქართველოს უნივერსიტეტთან ერთად ჩართული არიან ევროპისა და კანადის კვლევითი-საგანმანათლებლო ინსტიტუტები, სპეციალისტები და სტუდენტები. ასევე აღსანიშნავია, რომ 2018 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ წარმოადგინა გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს სამშვილდის სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოებსა და ძეგლის ტურისტული პოტენციალის სრულად გამოყენებას.

დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული კვლევების შედეგად სამშვილდის შესახებ მნიშვნელოვანი სამეცნიერო სიახლეები იქნა გამოვლენილი. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ძეგლის იმ უძრესი კულტურული შრეებისა და არქეოლოგიური მასალების გამოვლენას, რომლებიც ქვის ხანის დასასრულ ეპოქას – ნეოლითს განეკუთვნება. დღემდე გაზიარებული იყო მოსაზრება, რომ სამშვილდის ისტორია დასაწყისს ანტიკური ხანიდან იღებდა, თუმცა, როგორც აღინიშნა ქვის ხანის პერიოდის არქეოლოგიური მასალების გამოვლენამ ეს სტერეოტიპი დაამსხვრია და ძეგლის ისტორია რამდენიმე ათასი წლით დააძველა.

ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია სამშვილდის ციტადელში, შუა საუკუნეების არქეოლოგიური ფენების ქვეშ, გვიანბრინჯაო, ადრე რკინის ხანის სამარხის გამოვლენა, რაც ამ ადგილზე, აღნიშნული პერიოდის სამაროვანისა და, შესაძლებელია, ნამოსახლარის არსებობასაც უნდა ადასტურებდეს. მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, სავსებით დასაშვებია, რომ სამშვილდის კონცხი ადამიანის მიერ მართლაც ასეთ შორეულ ხანებში ყოფილიყო ათვისებული.

თუმცა, ყველაზე მძლავრად სამშვილდეში მაინც შუა საუკუნეების ნაშთებია წარმოდგენილი და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან იგი საუკუნეთა განმავლობაში რეგიონის უმსხვილეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. შუა საუკუნეების კომპლექსები წარმოდგენილია როგორც ადრეული, ისე განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების მასალებითა და შენობა-ნაგებობების ნაშთებით. უკანასკნელ ხანებში გამოვლენილი შუა საუკუნეების სხვადასხვა ფაზის მასალები თვალნათლივ მიუთითებენ იმ პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ კავშირებზე, რომელიც სამშვილდეს ჰქონდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

ამ კავშირებსა და ძეგლის მნიშვნელობას ყველაზე თვალსაჩინოდ სამშვილდის ციტადელში აღმოჩენილი სამონეტო განძი წარმოაჩენს, რომელიც აერთიანებს განვითარებული შუა საუკუნეების სამასამდე ქართულ და უცხოურ მონეტას. ასეთი მსხვილი განძის აღმოჩენა სტაბილური, გეგმაზომიერი და თანმიმდევრული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მაშინ როდესაც თანადროული კონტექსტები და ფენები კარგად არის დაცული, ძალზედ მნიშვნელოვანია. შესაბამისად, განძში შემავალი მონეტების სრულყოფილი კვლევა და გამოქვეყნება საშური საქმეა.

საქართველოს ტერიტორიაზე, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, მიმოქცევაში მყოფი სხვადასხვა ფული სამონეტო განძის სახით ილექებოდა. ამიტომაც, განძის შესწავლით შესაძლებელია ქვეყნის ამა თუ იმ პერიოდის ფულადი მიმოქცევის სურათის აღდგენა. საშინაო და საგარეო სავაჭრო ურთიერთობების გაცოცხლება და, რაც თქმა უნდა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კავშირების გადმოცემა. აქედან გამომდინარე, თითოეული სამონეტო განძის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის კვლევის საქმეში. გამომდინარე თავისი სპეციფიკიდან, ნუმიზმატიკური განძების მიერ შემონახული ინფორმაციის დამუშავება-გაანალიზების პროცესი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. განძებში დაფარული საიდუმლო ისტორიული გზავნილების ამოკითხვას, ხშირ შემთხვევაში, ართულებს განძების წარმომავლობის ანონიმურობა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავში დღეისათვის მრავალი ასეული სამონეტო განძი ინახება, მაგრამ უმეტესობის აღმოჩენის გარემოება, არქეოლოგიური კონტექსტი, ცნობილი არ არის.

გაცილებით დიდი ინფორმაციის მატარებელი ის სამონეტო განძებია, რომელთა აღმოჩენა გეგმიური არქეოლოგიური კამპანიების შედეგად მოხდა, ვინაიდან, ამ შემთხვევაში თანმდევი არქეოლოგიური მასალის საშუალებით უფრო მეტია ინფორმაცია და საიდუმლოს „ამოკითხვა" ადვილია.

ამ თვალსაზრისით, სამშვილდის განძის აღმოჩენა მნიშვნელოვანი მოვლენაა როგორც ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერებისთვის, ისე ზოგად საისტორიო მეცნიერებისთვის.